



საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA

ხარისხის მართვის სამსახურის

ანგარიში

2017-2018 სასწავლო წელი

თბილისი

2018

დოკუმენტში მოცემული მაჩვენებლები წარმოადგენს 2017-2018 სასწავლო წლის გამოკითხვის შედეგებს. გამოკითხვის მიზანი იყო, საქმიანობის მომხმარებელთა და დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზებული სერვისების/მომსახურების ხარისხისა და კმაყოფილების კვლევა. საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურში შემოსული იყო 296 ანკეტა, აქედან დახარვეზდა 22. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გაანალიზებული იქნა სულ 274 ანკეტა-კითხვარი.

ინფორმაცია**საბაჟო საქმის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ**

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის 2015 წლის 9 ნოემბრის N153 ბრძანებით შექმნილმა საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფმა, შემადგენლობით: შორენა ხუბუნაია, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მ/შ, ჯგუფის კოორდინატორი; პაატა ცაგარეიშვილი, საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; თეა მაისურაძე, მენეჯერი სასწავლო დარგში; ტიტე ბოლქვაძე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი; ვახტანგ ბოგველიშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, მუშაობა დაიწყო 2018 წლის 2 აპრილიდან. სამუშაო გეგმის შესრულების მიზნით, მუშაობის პერიოდში ჯგუფმა შეიმუშავა მეცადინეობებზე დასწრებისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურების განრიგი.

2018 წლის გაზაფხულზე განხორციელდა შემდეგი მოდულების სწავლება

N	მოდულის დასახელება	კრედიტი	მოდულის ხანგრძლივობა (კვირა)	განმახორციელებელი	სწავლის დაწყება	სწავლის დასრულება
1	სერვის პლუსი	1,5	5	მ. გვრიტიშვილი	05.03.2018	16.04.2018
2	არასატარიფო ღონისძიებები	4	20	ვ. ბოგველიშვილი	06.03.2018	10.07.2018
3	საბაჟო დეკლარირება	5	20	ტ. ბოლქვაძე	13.03.2018	25.07.2018
4	მეწარმეობა 3	3	9	პ. ცაგარეიშვილი	07.03.2018	11.05.2018
5	Ms Excel	6	20	მ. კაციაშვილი	15.03.2018	27.07.2018
6	სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი	4	20	ტ. ბოლქვაძე	15.03.2018	26.07.2018
7	ბიზნეს ინგლისური - საბაჟო საქმე	5	20	ნ. გუგუნავა	30.03.2018	03.08.2018
8	საბაჟო გაფორმება	5	9	ნ. ტეტუნაშვილი	06.03.2018	01.05.2018
9	სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი	4	20	ვ. ბოგველიშვილი	06.03.2018	17.07.2018
10	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	3	17	დ. კვატაშიძე	15.03.2018	05.07.2018
11	ფიზიკური პირის კონტროლი	4	9	ვ. ბოგველიშვილი	05.03.2018	05.05.2018
12	რუსული ენა	4	20	ლ. გელიშვილი	09.03.2018	20.07.2018
13	საბაჟო ზედამხედველობა	4	10	პ. ცაგარეიშვილი	14.05.2018	21.07.2018
14	საბაჟო სამართალდართულების საქმის წარმოება	6	10	ნ. ტეტუნაშვილი	15.05.2018	21.07.2018
15	პრაქტიკული პროექტი - საბაჟო საქმის სპეციალისტი	6	14	პრაქტიკის ობიექტი	05.03.2018	31.07.2018
16	საწარმოო პრაქტიკა	13	14	პრაქტიკის ობიექტი	05.03.2018	31.07.2018

სამუშაო გეგმისა და ზემოხსენებული განრიგების შესაბამისად, ჯგუფის მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაო:

აქტივობა N1 - მეცადინეობების მიმდინარეობისა და ხარისხის კონტროლი

შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა (შ. ხუბუნაია, თ. მაისურაძე) საბაჟო საქმისა და საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორი ჯგუფის მეცადინეობების მიმდინარეობის შეფასებისა და ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, განხორციელეს მეცადინეობებზე დასწრება, დაიწყო 2018 წლის 26 მარტიდან (მეცადინეობის დასწრების აქტი N01, 26.03.2018) და დასრულდა 2018 წლის 13 ივლისს (მეცადინეობის დასწრების აქტი N25, 13.07.2018). თითოეული მოდულის სწავლებისას მეცადინეობების მიმდინარეობა გადამოწმდა სულ მცირე ორჯერ, სახეზეა დასწრების სულ 25 აქტი.

მეცადინეობებზე დასწრებისას შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმდა მეცადინეობის მსვლელობა, თემატიკა შედარდა მოდულის შესაბამის კალენდარულ გეგმას, რაც ძირითადად თანხვედრაში იყო. განხორციელდა დაკვირვება სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლებზე, მასწავლებლის მიდგომებზე, სწავლებისა და განმავითარებელი შეფასების მიმართულებების შესაბამისობაზე აქტივობის შინაარსთან, რესურსების საკმარისობასა და მათ ხელმისაწვდომობაზე. ჩატარდა ინტერვიუება, როგორც მასწავლებელთან, ისე პროფესიულ სტუდენტებთან, მათი საჭიროებებისა და სურვილების იდენტიფიცირების მიზნით.

მეცადინეობებზე დასწრებისას შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა, როგორც არსებული მდგომარეობის შეფასება და მისი აღწერა, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები. მეცადინეობების მიმდინარეობის შესახებ დეტალურად მოცემულია მეცადინეობის დასწრების აქტებში.

აქტივობა N2 - კალენდარული გეგმების პერიოდული გადახედვა

მოდულების კალენდარული გეგმები შემუშავდა შებამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, რომელთა განხილვა განხორციელდა შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომებზე (ოქმი N01, 28.03.2018; ოქმი N04, 15.05.2018) და საბოლოო რედაქციით შეთანხმებულ იქნა აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურთან.

კალენდარული გეგმების შესრულების მიმდინარეობა გადამოწმდა შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ: მეცადინეობებზე დასწრებისას, მასწავლებელთა ინტერვიუებისას და პორტფოლიოების ანალიზისას, სამივე ფორმით მიღებული ინფორმაცია განხილულ იქნა შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომებზე (ოქმი N04, 15.05.2018, ოქმი N07, 02.07.2018).

აქტივობა N3 - შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება

შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ მეთოლოგიური მითითებები მიეცათ იმ მასწავლებლებს, რომელთაც არ ჰქონდათ მოდულის სწავლების გამოცდილება. მოდულის შეფასების ყველა ინსტრუმენტი შემუშავებულ იქნა შესაბამისი მოდულის განმახორციელებლის მიერ.

აქტივობა N4 - შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება/ვალიდაცია

მიმდინარე სასწავლო პერიოდში შემუშავებულ იქნა შეფასების 31 ინსტრუმენტი, რომელთა ვერიფიკაცია განხორციელდა შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA“ -ის რექტორის 2015 წლის 5 აგვისტოს N081 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მე-20 მუხლის შესაბამისად. პროფესიული მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტი, პირველ ეტაპზე შეფასდა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ (შეფასების შედეგები ასახულია შესაბამის კითხვარებში) და ავტორებს არაერთგზის მიეცათ მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები. „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დარგის სპეციალისტების ჩართულობის მიზნით, შეფასების თითოეული ინსტრუმენტი განხილულ იქნა შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ (ოქმი N01, 28.03.2018 - N08, 13.07.2018), რომელთა საფუძველზეც განხორციელდა მათი საბოლოო შეთანხმება ხარისხის მართვის სამსახურთან.

აქტივობა N5 - სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგი

სწავლის შედეგების დადასტურება განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურების განრიგის შესაბამისად, რომელსაც სავალდებულო წესით ესწრებოდა შიდა მონიტორინგის ჯგუფის მინიმუმ ერთი წევრი. სწავლის შედეგების ძირითად ვადებში დადასტურება განხორციელდა სულ 33-ჯერ, ხოლო გადაბარება 6-ჯერ.

აქტივობა N6 - სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგის შედეგების განხილვა

სწავლის შედეგების დადასტურების მიმდინარეობა და შედეგები განხილულ იქნა შიდა მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრებზე (ოქმი N03, 27.04.2018 - N08, 13.07.2018).

აქტივობა N7 - მოდულური პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა

მოდულური პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს გამოკითხვის მიზნით, ეთხოვა ანგარიშის წარმოდგენა, სადაც სრულყოფილად იქნებოდა აღწერილი სწავლების მთელი პროცესი. წარმოდგენილია 14 მოდულის განხორციელების ანგარიში.


აქტივობა N8 - მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა

მიმდინარე სასწავლო პერიოდში გამოიკითხა, როგორც პროფესიული სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები. სწავლების პროცესში მათგან მიღებული ინტერვიუს შედეგების ანალიზი განხილულ იქნა შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომებზე. ჯამში წარმოდგენილია 70 ანკეტა-კითხვარი, აქედან 3 დახარვეზებულია.

აქტივობა N9 - გამოკითხვის შედეგების შესახებ ანგარიში

პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი:

მოდულის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ



შეფასების ინდიკატორები:

- 1 კურსის დასაწყისშივე გავეცანი მოდულს/კალენდარულ გეგმას
- 2 მასწავლებელმა გაგვაცნო მოდულის შინაარსი
- 3 მოდული ტვალისიწნებდა პრაქტიკულ დავალებებს
- 4 მასწავლებელმა გაგვაცნო შეფასების წესი
- 5 დავალებების სირთულე იყო მოდულის ადეკვატური
- 6 მასწავლებელი ხელს უწყობდა ჩვენს აქტივობებს
- 7 მოდული უზრუნველყოფილია სახელმძღვანელო-რესურსებით
- 8 სახელმძღვანელო-რესურსების დონე დამაკმაყოფილებელია
- 9 უნდა გაგრძელდეს ამ სახელმძღვანელო-რესურსების გამოყენება
- 10 მოდულის ხანგძლივობა საკმარისია
- 11 ამ მოდულის გავლას ვურჩევდი სხვებსაც
- 12 მოდულმა მომცა საჭირო ცოდნა
- 13 მოდულმა განმივითარა საჭირო უნარები
- 14 მოდული დამეხმარა ფასეულობათა ჩამოყალიბებაში
- 15 მოდული საჭიროა ჩემი მომავალი პროფესიისათვის

კომენტარები:

მოდული - მეწარმეობა 3

კითხვა: რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ მოდულის გავლისას
პასუხი: ლექტორის მიზანმიმართულობა და ყურადღება

მოდული - სერვის პლუსი

კითხვა: რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ მოდულის გავლისას
პასუხი: მოდულის შინაარსის გადმოცემა მარტივი და გასაგები ენით

მოდული - ფიზიკური პირის კონტროლი

კითხვა: რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ მოდულის გავლისას
პასუხი: - პრაქტიკული მიდგომა საკითხისადმი და მასწავლებლის გამოცდილება
- მასწავლებლის დამოკიდებულება

მოდული - საწარმოო პრაქტიკა


კითხვა: რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ მოდულის გავლისას
პასუხი: - კვალიფიციური პერსონალი
- გამოცდილ ადამიანებთან მუშაობა

მოდული - პრაქტიკული პროექტი

კითხვა: რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ მოდულის გავლისას
პასუხი: - საბაჟო პროცედურების პრაქტიკული განხორციელება
- გამოცდილ ადამიანებთან მუშაობა

ცალკეულ შემთხვევებში (სულ 4 შემთხვევა) სტუდენტების მიერ გამოითქვა უკმაყოფილება შეფასების სირთულესთან დაკავშირებით


მოდულის განმახორციელებელი პირების შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ



შეფასების ინდიკატორები:

- 1 პროფესიული მასწავლებელი ცდილობს მეცადინეობა გახადოს საინტერესო
- 2 გვაძლევს შეკითხვებს, რათა დარწმუნდეს, რომ ახსნილი მასალა გავიგეთ
- 3 მოცემული დავალებები ახსნილი თემის შესაბამისია
- 4 ახდენს ახსნილი მასალის შეჯამებას და აწყობს დისკუსიას
- 5 განვვიმარტავს, თუ რაში გამოგვადგება ახსნილი მასალა
- 6 მეცადინეობაზე ინარჩუნებს დისციპლინას
- 7 იხილავს ჩვენს შეფასებებს და გვიხსნის მიზეზებს
- 8 კარგად იცის ის საკითხები, რასაც გვასწავლის
- 9 მის მიერ მოცემული საშინაო დავალებები გვცხმარება ახსნილი მასალის უკეთ ათვისებაში
- 10 გვაწოდებს საჭირო მასალებს და თვალსაჩინოებებს
- 11 სწავლებისას იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს და რესურსებს
- 12 იყენებს ვიზუალურ რესურსებს, რათა უკეთ გავიგოთ ახსნილი მასალა
- 13 გვითითებს შესაბამის ლიტერატურას რაც მოიპოვება ბიბლიოთეკაში ან ელექტრონულ რესურსებს
- 14 კარგად ორგანიზებულია
- 15 მოსწონს, როცა შეკითხვას ვუსვამთ
- 16 საკითხების განხილვისას გვამუშავებს ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც
- 17 სვამს პრობლემას და გვავალებს დამოუკიდებლად ვიპოვოთ პრობლემის გადაჭრის გზა
- 18 შეგვიძლია მივმართოთ დახმარებისათვის როგორც მეცადინეობისას, ისე მეცადინეობის შემდეგ
- 19 თვალყურს ადევნებს ჩვენს დამოუკიდებელ მუშაობას რათა დარწმუნდეს, რომ სწორად გავიგეთ ახსნილი მასალა.
- 20 ზრუნავს ჩვენს პიროვნულ განვითარებაზე

საბაჟო საქმის პროფესიული პროგრამის შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ



შეფასების ინდიკატორები:

- 1 ინფორმაცია პროგრამის შესახებ ადვილად ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის
- 2 პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გასაგებია და ლოგიკურად დასაბუთებულია
- 3 პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა არაა ზედმეტად გართულებული და სამართლიანია
- 4 ადმინისტრაცია არ იყენებს ე.წ. „დამალულ“ გადასახადებს. წინასწარვე ცნობილია თუ რა დაჯდება სწავლა ამ პროგრამაზე
- 5 სასწავლო გარემო კომფორტულია და პროგრამის მოთხოვნების ადეკვატური
- 6 შესაძლებელია ინტერნეტით და კომპიუტერით სარგებლობა
- 7 ბიბლიოთეკაში არის საჭირო სასწავლო მასალები
- 8 ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი არის კეთილგანწყობილი, სტუდენტებს ექცევიან სამართლიანად და თანასწორად. ცდილობენ დახმარებას
- 9 სწავლის პროცესში თავს ვგრძნობ უსაფრთხოდ და დაცულად
- 10 ლექტორები არიან კვალიფიციურები, იციან ის საქმე, რასაც გვასწავლიან
- 11 ცოდნის შეფასება ხდება გამჭვირვალედ, დამსახურებულად და სამართლიანად. გამორიცხულია პროტექციონიზმი.
- 12 გთხოვთ, თქვენ მიერ გავლილი პროგრამის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა თქვენს მიერ მიღწეული კომპეტენცია **ცოდნისა და გაცნობიერების** ნაწილში
- 13 გთხოვთ, თქვენ მიერ გავლილი პროგრამის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა თქვენს მიერ მიღწეული კომპეტენცია **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების** ნაწილში
- 14 გთხოვთ, თქვენ მიერ გავლილი პროგრამის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა თქვენს მიერ მიღწეული კომპეტენცია **დასკვნის გაკეთების** ნაწილში
- 15 გთხოვთ, თქვენ მიერ გავლილი პროგრამის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა თქვენს მიერ მიღწეული კომპეტენცია **სწავლის უნარის** ნაწილში
- 16 გთხოვთ, თქვენ მიერ გავლილი პროგრამის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა თქვენს მიერ მიღწეული კომპეტენცია **კომუნიკაციის** ნაწილში

- 17 გთხოვთ, თქვენ მიერ გავლილი პროგრამის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა თქვენს მიერ მიღწეული კომპეტენცია **ღირებულებების** ნაწილში
- 18 პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის ადეკვატურია, იძლევა პროფესიის პრაქტიკულად დაუფლების შესაძლებლობას.
- 19 სასწავლო კურსების ხანგრძლივობა არაა ხელოვნურად გაზრდილი, რეალურია.
- 20 პროგრამის მიღმა სტუდენტური ცხოვრება საინტერესოა და დატვირთულია სხვადასხვა ღონისძიებებით
- 21 პროგრამის გავლის შედეგად მივიღე ცოდნა და უნარები, რაც დამეხმარება დასაქმებაში
- 22 გავლილი პროგრამის ზოგადი შეფასება
- 23 სურვილი მაქვს სწავლა განვაგრძო შემდეგ საფეხურზე ან სხვებს ვურჩიო ამ პროგრამით სწავლა.

მოდულების განმახორციელებელი პირების ანგარიშების ანალიზი

მოდულის განმახორციელებელი პირების ანგარიშის ანალიზის მიხედვით, დადებითად შეფასდა:

- სასწავლო პროცესის მიმდინარეობა
- სწავლის შედეგების რელევანტურობა შეფასების კრიტერიუმებთან
- ხარისხის მართვის სამსახურის ჩართულობა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას
- შეფასების მტკიცებულებების შექმნა
- საგანმანათლებლო რესურსები

მოდულის განმახორციელებელი პირების ანგარიშის ანალიზის მიხედვით, ნეგატიურად შეფასდა:

- მეცადინეობებზე ცალკეულ სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლები (რაც გამოწვეული იყო ისეთი მიზეზებით, როგორიცაა: სამხედრო სამსახურში ყოფნა, მუშაობა, ოჯახური პირობები და სხვა)
- შეფასების ინსტრუმენტების შექმნის სირთულე
- მეცადინეობებზე სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი
- კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის მუშაობის ხარისხი
- მოდულის „ბიზნეს-ინგლისური-საბაჟო საქმე“ სირთულე და სწავლის შედეგების შეუსაბამობა პროცესთან

რეკომენდაცია:


- გაერთიანდეს საბაჟო დეკლარირებისა და საბაჟო გაფორმების მოდულები, ვინაიდან გაფორმება და დეკლარირება წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს.
- კალენდარული გეგმების გაუქმება
- სწავლის შედეგების შეფასების მიმართულების არჩევა მასწავლებლის მიერ
- მოდულის „სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის“ მოცულობის შემცირება 3 კრედიტამდე.

აქტივობა N10 - საგანმანათლებლო რესურსების/სასწავლო მასალების მონიტორინგი


საგანმანათლებლო რესურსების/სასწავლო მასალები პროფესიული განათლების დეპარტამენტს მიეწოდა მოთხოვნის შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე 3 კვირით ადრე, 2018 წლის 12 თებერვალს. რესურსების ხარჯვისა და მათი საკმარისობის მონიტორინგი განხორციელდა მეცადინეოებზე დასწრებისას, პორტფოლიოების შემოწმებისას და პერსონალთა ინტერვიუებისას. ცალკეულ შემთხვევებში დაფიქსირდა ინტერნეტის მიწოდების სიჩქარის არასაკმარისობა.

აქტივობა N11 - მოდულებისა და პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების მონიტორინგი


მოდულებისა და პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების მონიტორინგი განხორციელდა შიდა მონიტორინგის ჯგუფის კოორდინატორის მიერ, რომლის შედეგები წარმოდგენილია დასკვნების სახით (დასკვნა N01, 30.04.2018, დასკვნა N02, 30.05.2018, დასკვნა N03, 29.06.2018). დასკვნის შინაარსი გაეცნო პორტფოლიოების წარმოების სისრულეზე პასუხისმგებელ პირს (დადასტურებულია პირის ხელმოწერით). დასკვნების მიხედვით, პორტფოლიოების წარმოების ხარისხის მაჩვენებელი შედარებით გაუმჯობესებულია.

1. ადმინისტრაციული პერსონალი და სამსახურები

2. სტუდენტების მიერ სტრუქტურული ერთეულების შეფასების მაჩვენებლების სტატისტიკა წინა წელთან შედარებით



3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რეიტინგი (თვითშეფასებისა და ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების მაჩვენებლები)




შეფასების კრიტერიუმები:

- 4 - მაღალეფექტური, მიღწეული შედეგები აღემატება მოთხოვნებს;
- 3 - ეფექტური, მიღწეული შედეგები შეესაბამება მოთხოვნებს;
- 2 - მისაღები, მიღწეული შედეგები შეესაბამება მინიმალურ მოთხოვნებს;
- 1- არაადეკვატური, მიღწეული შედეგები არააადეკვატური.

4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მაჩვენებლები ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით

[illegible]


5. ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მენეჯმენტისა და ორგანიზაციის შეფასება




შეფასების სკალა - 0-5


5- სავსებით ვეთანხმები; 4-ვეთანხმები; 3-უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა; 2-უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი; 1-არ ვეთანხმები; 0- სავსებით არ ვეთანხმები

6. სტუდენტთა მიერ აკადემიის სერვისების შეფასება







7. სტუდენტთა მიერ აკადემიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კომპონენტის შეთავაზების სერვისის შეფასება




8. 2017 წელს აგვისტო-სექტემბერში განხორციელებული ოფისის მენეჯერის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




9. 2017 წელს აგვისტო-სექტემბერში განხორციელებული ბუღალტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




10. 2017 წელს აგვისტო-სექტემბერში განხორციელებული ზაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




11. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ოფისის მენეჯერის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




12. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ოფის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




13. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული მდივან-რეფერენტის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




14. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული სარეკლამო აგენტის მწარმოებლის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




15. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული მოლარის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




16. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ლოგისტიკის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




17. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ბუღალტრული აღრიცხვის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




18. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ბუღალტერ-ტექნიკოსის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება



19. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ბუღალტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




20. 2018 წლის მაისი - ივლისში განხორციელებული ზაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება




20. ხარისხის სამსახურის მიერ სტუდენტთა სერვისების ფუნქციონირების შეფასება

კრიტერიუმი N 1. პროფესიული ორიენტაციის სტანდარტები და პროცედურები



კრიტერიუმი N 2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევა



კრიტერიუმები:

N 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები

N4. სტუდენტთა დახმარების პოლიტიკა


N5. დასვენების და ღონისძიებების პოლიტიკა

დასკვნა:

ხარისხის სამსახურის მიერ სტუდენტთა სერვისების ფუნქციონირება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დადებითად შეფასდა, თუმცა აღსანიშნავია ფაქტორი დახმარების პოლიტიკასთან მიმართებით დამატებითი მექანიზმების დანერგვა და საქმიანობის მეტად გააქტიურება.

დასვენების და ღონისძიებების პოლიტიკასთან მიმართებით კველვით პროექტებში სტუდენტების ჩართვა მონაწილეობა სამსახურის მიერ ნეგატიურად შეფასდა. აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის შეფასებაში მნიშვნელოვან ხვედრით წილს უნდა იკავებდეს სტუდენტებთან ამ მიმართულებით მუშაობა და მენეჯმენტის მიერ ინიცირებების წახალისება.

21. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ


**დასკვნა:**

კრიტერიუმი N 2. სტუდენტთა ჯგუფების ფორმირების პროცედურები - ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა მცირეა

კრიტერიუმი 4. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების პროცედურა - უმეტეს შემთხვევაში არ ხდება საგნის/მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ - ტესტების/შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენა ვადებში, რაც აფერხებს ვერიფიკაციის პროცესს.

22. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შფასება სტუდენტების მიერ



დასკვნა:

აკადემიის სტუდენტების მიერ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) შეფასდა მაღალი ქულებით მცირე გამონაკლისის გარდა.

**ხარისხის სისტემის შეფასებისას გამოკვეთილი მნიშვნელოვანი (პრიორიტეტული)
ფაქტორები:**

1. არსებობს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები და ძირითადი პროცესების რეგულაციები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას, ოპტიმიზაციას და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
2. გამოკითხვის, ხარისხის მართვის სამსახურის შეფასების, შეფასების მაჩვენებლების ანალიზის შემაფერხებელი ფაქტორებია, გამოკითხვის სიხშირე, კითხვარების სიდიდე და კითხვათა სირთულე (ფორმულირებულია რთული წინადადებით, სიტყვებით, რომლის აღქმა რესპოდენტებს უჭირთ), გამოკითხვის ფორმატი;
3. დაწესებულების პრაქტიკის ობიექტების/მომსახურები მომწოდებლების კვლევა, შეფასება ძირითადად ხდება ინტერვიუების მეშვეობით, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას და პრაქტიკის ობიექტების/მომსახურები მომწოდებლების შეფასების მტკიცებულებების უზრუნველყოფას;
4. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ არ ხდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და განხორციელებული საქმიანობის შესახებ ხარისხის სამსახურთან ანგარიშგება, ხარისხის სისტემის შემდგომი ანალიზის მიზნით. რაც ასევე ართულებს ხარისხის სამსახურის მიერ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და პროცესების ეფექტურობის განსაზღვრას.

ხარისხის სისტემის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ რეკომენდებულია დაწესებულებაში დაინერგოს:

1. სტრუქტურული ერთეულების მიერ ხარისხის მართვის სამსახურთან და მენეჯმენტთან ანგარიშგების მექანიზმები;
2. ხარისხის მართვის სამსახურისა და მენეჯმენტის მიერ რისკების იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის სისტემა;
3. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროცესების განვითარებისა და ეფექტურობის ინდიკატორების განსაზღვრა;
4. მენეჯმენტის მიერ გუნდური მუშაობის უზრუნველყოფა და ჯგუფის თითოეული მონწილის გადაწყვეტილებაში თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;
5. საქმიანობის შესრულების დოკუმენტირება, მტკიცებულებების შექმნა;
6. არსებული დოკუმენტაციის/ფორმების ოპტიმიზება.

გამოყენებული ინსტრუმენტები:

1. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.14. „სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ“
2. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.12. „სტუდენტთა სერვისების გამართულად ფუნქციონირების შეფასება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ“
3. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.15. „სასწავლო პროცესის შეფასება აკადემიური პერსონალის მიერ“
4. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.2. „აკადემიური პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ“
5. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.13. „აკადემიის სერვისების შეფასება სტუდენტების მიერ“
6. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.5. „პროფესიული მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ“
7. ხარისხის მონიტორინგის დებულების დანართი 2.7. „ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შეფასების ფორმა“
8. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, გარე მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის
9. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, გარე მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის
10. ტრენინგის ეფექტურობის შეფასების ანკეტა
11. ორგანიზაციული მართვის შეფასების კითხვარი

შორენა ხუბუნაია

*ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი*

31.08.2018